# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 23 მარტი 2005 №63 (2386) ფასი 50 თეთრი

# საქართველოს ნაკრებმა სიხარულში წაივარჯიშა



დაიწყო — ალენ ჟირესმა გუშინ პირველი სასაბერძნეთო პრესკონფერენცია გამართა და საბერძნეთ-თურქეთისთვის შეკრებილი ეროვნული ნაკრები ორჯერ ავარჯიშა. დანარჩენ ნაკრებელებთან ერთად დღეიდან ივარჯიშებენ კახა კალაძე, ლევან მაღრაძე და ალანიელი ქართველები, დავით კვირკველია, ჯაბა კანკავა და გიორგი შაშიაშვილი, ხოლო ნაგრიპალი ფრაიბურგელი ლევან ცქიტიშვილი ჯერ არ ჩამოსულა, მაგრამ საბერძნეთთან შესაძლოა ითამაშოს.

ნაკრების სალამოს ვარჯიში კი კარგი საცქერი იყო — ისეთი ორკარა გაჩაღდა, რომ გამარჯვებულმა „გუნდმა“ დიდად გაიხარა... მოკლედ, ჟინი და ალტყინება ბიჭებს არ დაენუნებათ და ჟირესი გვაიმედებს, თუ ვინმეს სათამაშო პრაქტიკა აკლია, ვარჯიშებზე ყველაფერს ავუნაზღაურებთო... ამასობაში ბერძნებმა ერთი წამყვანი მოთამაშე მოისაკლისეს — „რომას“ მცველი ტრაიანოს დელასი საზარდულს ისე შეუნუხებია, რომ ჩვენთან ვერ ითამაშებს, საეჭვო გამხდარა ბორდოელი მიხალის კაპსისის თამაშიც.





## თქვენი ინტერვიუ

ზურაბ ხიზანიშვილთან

4



## უსისხლო შარი

გატუზო და პანკარო დოპინგზე შეამოწმეს

6



## კოხტა კუდების გუდაურული ნაკვალევი

მერიის თასი ბაკურიანში გამოიზამთრებს

14

# ქეცბაიას ფსიქო

## ქართველების სტიმული ბერძნების ტიტულია

სამი დღეც და, საქართველო ევროპის ჩემპიონს შეერკინება. დღეს დიდი თუ პატარა მოახლოებული მატჩით ცხოვრობს და ზეიმისთვის ემზადება. საბერძნეთის ნაკრები ამოუცნობ გუნდად რჩება მსოფლიოში — ერთნი ამტკიცებენ, ელინელებს კონტინენტის ჩემპიონობა ყარაულის თოფივით გაუვარდათო, მეორენი კი მათ პორტუგალიურ ტრიუმფს კანონზომიერად თვლიან და ოტო რეჰაგელის სამწვრთნელო სიდიადეზე მიუთითებენ.

ლაპარაკი ლაპარაკად და, 26 მარტს მართლაც უმძლავრეს ნაკრებთან ექნებათ ჯახი ალენ ჟირესის ბიჭებს.

ზემოთ ჩამოთვლილ საკამათო თემებში ქართველთაგან ვინძლო ყველაზე გარკვეული თემურ ქეცბაია იყოს. 36 წლის ფეხბურთელი დღეს ნაკრებში აღარ თამაშობს, მაგრამ საბერძნეთთან აქამდე ჩატარებულ სამივე სანაკრებო მატჩში უთამაშია და, გეხსომებათ, 1999 წელს სწორედ მისი გოლით ვამარცხებდით ბერძნებს (მაშინ 1:2 წავაგეთ). ქეცბაიას არაერთი წელი გაუტარებია ათენის აეკ-ში და საერთოდაც, ბერძნული ფეხბურთის ავან-ჩავანი, მათი მენტალიტეტი, ძლიერი თუ სუსტი მხარეები მშვენივრად იცის. „ანართოსისის" ლიდერსა და მოთამაშე-მწვრთნელს გუშინ კვიპროსზე დავუკავშირდით და პირველი, რაც თემურმა გვითხრა, ყურების ჩამოყრის საბაბი არ გვაქვს, მოგება ნაღდად შეგვიძლიაო...



— ბერძნებმაც კარგად იციან, რომ თბილისში იოლი თამაში არ ელით. ჩვენმა ნაკრებმა ბოლო ოთხი მატჩი ღირსეულად ჩაატარა და დაამტკიცა, რომ სახელიან მეტოქეებთან ტოლ-სწორად თამაში შეუძლია. როცა საკუთარი ძალების გჯერა, მაშინ თამაში გიადვილდება და თუნდაც ევროპის ჩემპიონს ხვდებოდე, შებოჭილობა გეხსნება.

— როგორც შევიტყვეთ, ბერძენი ჟურნალისტები გაგსაუბრებიან. როგორია მათი განწყობა, უეჭველ სამ ქულას გეგმავენ?

— ეგრეა. ჯგუფის ლიდერ უკრაინას მთელი 6 ქულით ჩამორჩებიან და თბილისში რისთვისაც ჩამოდიან, ამის გამოცნობა ძნელი არ არის.

— თქვენ ბერძნების მენტალიტეტს კარგად იცნობთ და როგორ გგონიათ, ევროპის ჩემპიონატის მოგების შემდეგ ისევ ეიფორიაში არიან?

— შესაძლოა, ასეც იყოს. ევროპის ჩემპიონატიდან ხომ არც ისე დიდი დრო, სულ რაღაც 7-8 თვე გავიდა. თუმცა ოტო რეჰაგელის გუნდი ფსიქოლოგიურად ძალიან კარგადაა მომზადებული, ამ მხრივ პრობლემა რომ ჰქონოდათ, ამხელა ფორუმზე მასპინძელ პორტუგალიას ორჯერ ვერ მოუგებდნენ. ბერძნებმა შარშან ალბანეთთან რომ წააგეს, შესაძლოა, სწორედ ეიფორიის ბრალი იყო, თუმცა მერე და მერე გამოასწორეს მდგომარეობა, ამას წინათ დანიას მოუგეს და ძალიან კარგ ხასიათზე არიან.

— **აეკ-ში დიდხანს თამაშობდით და მაშინ თუ იგრძნობოდა, რომ საბერძნეთის ნაკრებს ამხელა პროგრესი ექნებოდა?**

— კარგი ფეხბურთელები მაშინაც ჰყავდათ და, როდესაც ჭკვიანი მწვრთნელიც დაუნიშნეს, პროგრესი მაშინვე დაიწყო. საბერძნეთის ნაკრებში არც ერთი დიდი ვარსკვლავი არ თამაშობს, მაგრამ ეს არის გუნდი, რომელიც ტაქტიკურ-ტექნიკურად და ფიზიკურადაც ძლიერია. მათ იციან, კონკრეტულ მატჩში კონკრეტულ მეტოქეს როგორ უნდა მოუგონ. შესაძლოა, ბერძნების თამაში ისეთი მიმზიდველი სანახავი არ არის, მაგრამ შედეგი აქვთ.

— **ბერძნებიდან ყველაზე მეტ ხიფათს ვისგან უნდა ველოდოთ?**

— ზაგორაკისი დიდი ფიგურაა ნახევარდაცვაში, დაცვაში დელასი და თავდასხმაში ხარისტიასი გამოირჩევიან. ისე, ახალს ვერაფერს ვამბობ, ეს ნებისმიერმა გულშემატკივარმა იცის. ხომ გეუბნებით, მათი ძალა ერთიანობაშია და არა ინდივიდუალობაში.

— **თქვენი აზრით, საქართველოს ნაკრებმა როგორი ფეხბურთი უნდა დაუპირისპიროს რეჰაგელის გუნდს, ანუ რის ხარჯზე შეგვიძლია მოგება?**

— ასე ზეპირად ძნელია თქმა, ერთი კია, შეტევაა საჭირო, მოგება გვჭირდება და ეს თუ სახლში ვერ მოვახერხეთ, მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის იმედი იმედად დარჩება. ახლა საქართველოს ნაკრები კარგ მდგომარეობაშია, ხალხი გამარჯვებას ელის და წაგება ფსიქოლოგიურად ძალიან ცუდად იმოქმედებს გუნდზე.

— **არადა, ბოლო წლებში საქართველოს ნაკრებს ყოველთვის უჭირდა გადამწყვეტ მატჩებში...**

— იმედია, ახლა ასე აღარ იქნება. ამ შესარჩევში ნაკრებმა დაამტკიცა, რომ რთულ სიტუაციაში მობილიზება შეუძლია, რაც დანიასთანაც გამოჩნდა. ვერ ვიტყვი, რომ ფსიქოლოგიურად საბერძნეთი ჩვენზე კარგ მდგომარეობაშია, პირიქით, ევროპის ჩემპიონთან ორმაგი მონდომებით უნდა ითამაშონ ბიჭებმა, სწორედ ამაშია ის სტიმული, რამაც ქართველებს უნდა მოგვაგებინოს. თანაც თამაში თბილისშია და არა საბერძნეთში, ჩვენი ლეგიონერებიც კარგ ფორმაში არიან.

— **„ანართოსისზეც" ვთქვათ. კარგა ხანია, ლიდერები ხართ და ალბათ ჩემპიონობა არ გაგიჭირდებათ...**

— ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი, რადგან ქულებში მცირე სხვაობაა. წინა ტურში 2:0-ს ვიგებდით, მაგრამ „აპოლონმა" რატომღაც თამაში შეწყვიტა და ახლა ფედერაციის გადაწყვეტილებას ველით.

— **გიორგი ქინქლაძე როგორ ფორმაშია და, თქვენი აზრით, თუ იმსახურებდა ნაკრებში გამოძახებას?**

— ქინქლაძე მშვენივრად თამაშობს, მაგრამ საქართველოს ნაკრებს ალენ ჟირესი წვრთნის და მისი გადასაწყვეტია, ვის გამოიძახებს. ალბათ ასე იყო საჭირო.

— **გოჩა ხოჯავა კი თითქმის სულ უთამაშებელია. ეს იმიტომ, რომ ის და ქინქლაძე ერთი ამპლუის ფეხბურთელები არიან?**

— ვერ ვიტყოდი, რომ ხოჯავა და ქინქლაძე ერთ პოზიციაზე თამაშობენ. ისინი ხელს არ შეუშლიან ერთმანეთს, ასე რომ, აქ ხოჯავა-ქინქლაძის კონკურენცია არაფერ შუაშია. უბრალოდ, გოჩა მაინც ახალი ჩამოსულია „ანართოსისში", გუნდი კი აწყობილია და თავისი თამაში იპოვა. ამ ეტაპზე ექსპერიმენტების დრო არა გვაქვს, კვიპროსის ჩემპიონატში გადამწყვეტი მატჩებია.

— **საქართველო—საბერძნეთის მატჩზე თბილისში ჩამოხვალთ?**

— სამწუხაროდ, ვერ მოვახერხებ. სამი დღით კლუბს ვერ მივატოვებ, მაგრამ გულით მანდ ვარ...

**ილია ნანობაშვილი**

# აი, ამბავი: არც დელასი, არც კაპსისი

**მანოს პარამოპულოსი**

*სპეციალურად „სარბიელისთვის"*

**ათენიდან**

**საბერძნეთის** ნაკრები გუშინ შეიკრიბა ათენში, ათლეტური მომზადების ცენტრში, სადაც ტრადიციულად იკრიბება ხოლმე. ოტო რეჰაგელმა დილით ფიზიკურად ავარჯიშა შეგირდები და ლამის საათნახევარი არბენინა, საღამოს კი ტაქტიკური ვარჯიშებიც ჩაატარა.

რეჰაგელი მთლად კმაყოფილი ვერ დარჩა ფეხბურთელების მზადყოფნით, ჟურნალისტებთან მოკლე საუბარში კი ეს თქვა: „საქართველოში გადამწყვეტი თამაში გვაქვს და რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა მოვიგოთ. იმედი მაქვს, ჩემი გუნდი მთელი პასუხისმგებლობით მიუდგება თბილისურ მატჩს და მეტოქეს ალმაცერად არ შეხედავს. საქართველოს ნაკრებზე ბევრი არაფერი ვიცი, თუმც ძლიერი გუნდი ჩანს".

მთავარი სიახლე: თბილისში ვერ ითამაშებს დაცვის ლიდერი, იტალიური „რომას" ლეგიონერი ტრაიანოს დელასი, რომელსაც ფეხი ასტკივდა. ზურგის ტრავმა აქვს მეორე ცენტრალურ მცველ მიხალის კაპსისს — რეჰაგელმა მისი თბილისში წამოყვანა მაინც გადაწყვიტა, თუმც კაპსისის თამაში თითქმის გამორიცხულია და სავარაუდოდ, მას თქვენი შოთა არველაძის თანაგუნდელი სოტირის კირიაკოსი ჩაენაცვლება ძირითადში.

გუშინდელი ვარჯიშის შემდეგ „ბოლტონის" ნახევარმცველ სტელიოს იანაკოპულოსსაც გამოველაპარაკეთ.

— საქართველო ძლიერი გუნდია, ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობს და ამ შესარჩევ ციკლში კარგად გამოიყურება, თუმც ჩვენ უფრო ძლიერები ვართ და აუცილებლად უნდა მოვიგოთ. მიუხედავად იმისა, რომ ქართველებს შინაური კედლები დაეხმარება" — ამბობს იანაკოპულოსი.

ჯერჯერობით ბერძენ გულშემატკივართა აქტიურობა არ იგრძნობა და თბილისში ოცამდე კაცი თუ წამოვა საქომაგოდ. ყოველ შემთხვევაში, ტურისტულ სააგენტოებში თბილისში წამოსვლის მსურველთა მეტი განცხადება ჯერ არ შესულა. ჟურნალისტები კი ათი-თორმეტნი ვიქნებით.

საბერძნეთის ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები ხვალ ჩარტერული რეისით ჩამოფრინდებიან თბილისში.

## შოტლანდია

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი
კლაიდი 1:1 სენტ ჯონსტონი
მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩი
ალოა — მორტონი *დღეს*
მესამე დივიზიონი
გადადებული მატჩები
კოუდენბითი 0:2 სტენჰაუზმუირი
ელგინი 1:0 ქუინზ პარკი
ალბიონი 0:6 ისტ ფაიფი

## გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩები
კილი 1:1 ლიუბეკი
ჰამბურგი (მ) 3:2 უნიონი
არმინია (მ) — ჰერტა (მ) *დღეს*
სამხრეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩები
ზიგენი 3:3 აალენი
ილვერსბორგი 0:1 აუგსბურგი
ფოიხტი 2:1 ნოტინგენი

## შვეიცარია

ჩელენჯლიგა
XXIII ტური
ლუცერნი 2:0 ბული
ვადუცი 3:0 ვოლინი

## პოლონეთი

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩი
ოსტროვიცი 2:2 *ზაგლემბე* (0:1)

## ავსტრია

თასის მერვედფინალი
პალი 0:3 *ლინცერი*

## ინგლისი

პირველი ლიგა
გადადებული მატჩი
ბლეკპული 2:1 ბრენტფორდი
კონფერენსლიგა
გადადებული მატჩები
ბარტონი 1:3 ალდერშოტი
ძონვი 0:2 აკრინგტონი
მორეკემბი 2:1 ჰერეფორდი
ექსეტერი — დაგენემი *გადაიდო*

საქართველოს ჩემპიონატი
16
მეორე წრე
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
16 ტური

**იბერია 1:4 ოლიმპი**

**სპარტაკი 3:0 ცხინვალი**

**ჩიხურა 2:2 მერანი**

**საგარეჯო 0:0 რუსთავი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 19 | 16 | 1 | 2 | 52:21 | 49 |
| ამერი | 19 | 14 | 1 | 4 | 54:9 | 43 |
| სპარტაკი | 19 | 12 | 6 | 1 | 35:17 | 42 |
| ვიტ ჯორჯია | 19 | 12 | 4 | 3 | 30:11 | 40 |
| კახეთი | 19 | 11 | 3 | 5 | 31:23 | 36 |
| ცხინვალი | 19 | 9 | 3 | 7 | 25:23 | 30 |
| დინამო 2 | 19 | 9 | 1 | 9 | 44:32 | 28 |
| გურია | 19 | 7 | 4 | 8 | 20:28 | 25 |
| ჩიხურა | 19 | 6 | 5 | 8 | 19:23 | 23 |
| იბერია | 19 | 6 | 5 | 8 | 17:26 | 23 |
| ლოკომოტივი 2 | 19 | 6 | 4 | 9 | 24:30 | 22 |
| რუსთავი | 19 | 5 | 3 | 11 | 22:32 | 18 |
| მერანი | 19 | 5 | 2 | 12 | 23:35 | 17 |
| ოლიმპი | 19 | 4 | 4 | 11 | 19:33 | 16 |
| საგარეჯო | 19 | 3 | 5 | 11 | 17:42 | 14 |
| მაღაროელი | 19 | 0 | 3 | 16 | 9:56 | 3 |





# არასდროს მითამაშია, არასდროს წამიგია და მოგებული ვარ

## ჟირესი ბერძნულ დებიუტზე არ ლაპარაკობს

საქართველოს ნაკრები ბერძნებთან 26 მარტის მატჩისთვის მზადებას შეუდგა. ეროვნულმა გუნდმა გუშინ დილით ხელოვნურსაფარიან მოედანზე ივარჯიშა, საღამოს კი ორი საათი „ოლიმპის“ სტადიონზე დაჰყო. ალენ ჟირესის განკარგულებაში 16 ფეხბურთელი იყო, თუმც გუნდი დღეს უკვე სრული შემადგენლობით იქნება. როცა ნაკრები „ოლიმპზე“ სავარჯიშოდ მიდიოდა, სასტუმრო „ბატესტას“ სწორედ მაშინ მოადგნენ ალანიელი ქართველები — ლადო ბურდული, გიორგი შაშიაშვილი და დავით კვირკველია. დიდთოვლობის გამო მათ ვლადიკავკაზიდან ჩამოსვლა შეაგვიანდათ და ჟირესმა ნამგზავრები გუშინ დაასვენა. გამთენიისას მილანიდან კახა კალაძეს, ათენიდან ლევან მაღრაძეს, ფრაიბურგიდან კი ლევან ცქიტიშვილს ელიან.

ნაკრების გუშინდელი ვარჯიში დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩეოდა. ფეხბურთელები ჯერ ფიზმომზადების მწვრთნელმა ავთო ბერიძემ გაიხმო და ნახევარსაათიანი მოთელვა ჩაუტარა, შემდეგ კი გუნდი ჟირესმა ორად გაჰყო და ნახევარ მოედანზე ათამაშა. აშკარად ჩანდა, რომ მტკივან ფეხს უფრთხილდებოდა და ორთაბრძოლებს ერიდებოდა მალხაზ ასათიანი. მას ბარძაყის კუნთი აწუხებს, თუმც, როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე ჟირესმა თქვა, ასათიანის ტრავმა სერიოზული არ არის და ის ბერძნებთან ითამაშებს. ასევე მცირე ტრავმა აქვს შოთა არველაძეს. მან მთელი დატვირთვით კი ივარჯიშა და ფეხის ტკივილს აღარ შეუწუხებია, მაგრამ დიდი ხნის უთამაშებელს, ჩანს, სასურველ ფორმამდე ცოტა კიდევ უკლია. ჯანზეა და დიდად მონდომებულიც იყო გოგიტა გოგუა, ვინც ლიტვასთან ამხანაგური მატჩისას მოაწონა ჟირესს თავი და აგერ, ახლაც ნაკრებშია. ბერძნებთან მატჩს გოგუა დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებს, თურქეთთან კი, ალბათ, ითამაშებს. როგორც ყოველთვის, ნორმალურ ფორმაში არიან ნაკრების ლიდერები — ლევან კობიაშვილი, გიორგი დემეტრაძე და ალექსანდრე იაშვილი. ზურაბ ხიზანიშვილი კი ბოლო დროის დაკარგულს 26 მარტამდე სრულად აინაზღაურებს. ვარჯიშზე ასევე კარგად გამოიყურებოდნენ მეკარეები აკაკი დევაძე და გიორგი ლომაია, რომლებსაც მირზა მერლანი ენაცვლებოდა ხოლმე.

და კიდევ, ფრაიბურგში სამედიცინო გამოკვლევა ჩაიტარა ლევან ცქიტიშვილმა და, ჟირესის თქმით, ბერძნებთან ალბათ ითამაშებს კიდეც.

— დღეიდან უკვე სრული დატვირთვით შევუდექით მზადებას და 26 მარტამდე ტემპს უფრო მოვუმატებთ. დღესდღეობით ჩვენი საფიქრალი მხოლოდ საბერძნეთის ნაკრებია, ამ გუნდზე ვართ კონცენტრირებულნი — პრესკონფერენცია ნაკრების თავკაცმა საღამოს ვარჯიშამდე სასტუმრო „ბატესტაში“ გამართა.

— საბერძნეთის ნაკრების ბევრი მატჩი მინახავს და ინფორმაციის ნაკლებობას არ ვუჩივი. ბერძნები ახლა ოპტიმალურ ფორმაში არიან, ევროპის ჩემპიონობამ მათ თავდაჯერება შემატა. მეტოქე თბილისში, ორი-სამი ფეხბურთელის გარდა, იგივე შემადგენლობით მოდის, რომელმაც პორტუგალიაში ითამაშა.

— საბერძნეთის ნაკრებს ძალიან ძლიერი დაცვის ხაზი ჰყავს, მაგრამ ჩვენ მათ შესაბამის ტაქტიკას დავუპირისპირებთ. არ ვიცი, ბერძნები თბილისში უპირატესობას დაგვითმობენ თუ შემოგვიტევენ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენგან საპირისპირო სვლას მიიღებენ. რას დავუპირისპირებთ ბერძნებს, ამას ხმამაღლა არ ვიტყვი.

— საბერძნეთ—დანიის თებერვლის მატჩს ვუყურე და ვფიქრობ, მასპინძლებს მსაჯი კოლინა არაფრით დახმარებია. დანიელებმა წაგება დაცვის შეცდომებს დააბრალონ, თორემ კოლინამ კარგად იმსაჯა. 26 მარტის მატჩსაც იტალიელები იმსაჯებენ და ვიმედოვნებ, მეტოქის სასარგებლოდ არ შეცდებიან.

— ბერძნების წინააღმდეგ არასდროს მითამაშია, შესაბამისად, არასდროს წამიგია და ამიტომაც თავს მოგებულად ვთვლი.

— ბერძნებთან და თურქებთან ექვსი ქულა დამაკმაყოფილებს და სამისოდ კარგი შანსებიც გვაქვს. ბერძნებთან მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობ.

— მართალია, ჩვენი ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელს სათამაშო პრაქტიკა აკლია, მაგრამ ისინი დაკარგულს ვარჯიშებით აინაზღაურებენ. მათ დამატებით ვარჯიშებს დავუნიშნავთ და მოტივაციას გავუძლიერებთ. ისე კი, არც საბერძნეთის ნაკრებია უპრობლემოდ. მაგალითად, იტალიური „ინტერის“ ნახევარმცველი კარაგუნისი კარგა ხნის უთამაშებელია და არა მგონია, 26 მარტამდე ფორმა ბოლომდე აღიდგინოს.

**კობა ინასარიძე**

***ბადრი კეთილაძის ფოტოები***





2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის II შესარჩევი ჯგუფი ჩვენი მეტოქე

# ძველი ფოტო

## რაო, ისევ სტრაკოშაო?

### ალბანეთი

ჰანს-პეტერ ბრიგელის ალბანეთმა შესარჩევი ციკლი ისეთი მოგებით დაიწყო, უკეთესს ვერ ინატრებდა, თუმცა ევროპის ჩემპიონი ბერძნების დამარცხების შემდეგ „არწივებს“ საქმე უკან-უკან წაუვიდათ და 5 მატჩში 6 ქულა მოუგროვდათ. 26 და 30 მარტს ალბანელები, საქართველოს მსგავსად, თურქებს და ბერძნებს ეთამაშებიან, ოღონდ ეს ორივე მატჩი სტუმრად აქვთ. შკიპერიელები, ტრადიციულად, ლონივრად ექიშპებიან თურქებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, მათთან ურთიერთშეხვედრებში უპირატესობაც კი აქვთ.

ბრიგელმა გუშინ გამოაცხადა 22-კაციანი სია. გერმანელი მწვრთნელი დანაკლისს ვერ ასცდა — მართალია, ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა დონეცკის „მეტალურგის“ მცველმა ელვინ ბეჩირიმ, მაგრამ ალბანელებს ტრავმების გამო დააკლდებიან ასევე მცველი გერი ჩიპი, ნახევარმცველი ბესნიკ ჰასი და ფორვარდი ედვინ მურატი. ნაკრებში კი ერთადერთი დებიუტანტი თურქულ „დიარბაქირში“ მოთამაშე რედი ჯუპია.

და ერთიც: ალბანელთა 40 წლის მეკარემ ფოტო სტრაკოშამ ორიოდ კვირის წინ ნაკრებიდან წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ მისი შემცვლელი გოლკიპერი ბრიგელის შეკრებაზე ცოლის ავადმყოფობის გამო ვერ გამოცხადდა და... შესაძლოა, ფოტომ ეს ორი მატჩიც ითამაშოს. ყოველ შემთხვევაში, ბრიგელმა იგი სანაკრებო სიაში შეიყვანა.

***მეკარეები:*** *ილიონ ლიკა (დინამო ტირანა), ისლი ჰიდი (ტირანა), ფოტო სტრაკოშა (პანიონიოსი, საბერძნეთი);*

***მცველები:*** *ტეფიკ ოსმანი, არმენ დალკუ (ორივე ელბასანი), სუად ლიჩი (ვლაზნია), ელვის სინა (ტირანა), ლორიკ ჩანა (პსჟ, საფრანგეთი), ელვინ ბეჩირი (მეტალურგი, დონეცკი, უკრაინა), ადრიან ალიაი (ობერჰაუზენი, გერმანია);*

***ნახევარმცველები:*** *კლოდიან დურო, ერვინ შკელა (ორივე არმინია, გერმანია), ალტინ ჰაჯი (კალამარია, საბერძნეთი), დევის მუკა (ტირანა), ბლენდი შკემბი (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), ალტინ ლალა (ჰანოვერი, გერმანია), რედი ჯუპი (დიარბაქირი, თურქეთი);*

***თავდამსხმელები:*** *ალბან ბუში (დინამო ტირანა), ფლორიან მურტაი (კატანძარო, იტალია), ალტინ რაკლი (ტირანა), ერიონ ბოგდანი (ვერონა, იტალია), იგლი ტარე (ბოლონია, იტალია)*

**ილია ნანობაშვილი**

# თქვენი ინტერვიუ

# ზურაბ ხიზანიშვილთან

**«რეინჯერსი» გლაზგო, შოტლანდია**



| დაიბადა 06.10.81; სიმაღლე 185 სმ; წონა 76 კგ | | | |
|---|---|---|---|
| 1998-99 | დინამო (თბილისი) | 2 | 1 |
| | თბილისი | 9 | - |
| 1999-00 | ლოკომოტივი (თბილისი) | 5 | 1 |
| 2000-01 | ლოკომოტივი (თბილისი) | 11 | - |
| | დანდი (შოტლანდია) | 6 | - |
| 2001-02 | დანდი (შოტლანდია) | 18 | - |
| 2002-03 | დანდი (შოტლანდია) | 19 | - |
| 2003-04 | რეინჯერსი (შოტლანდია) | 38 | - |
| 2004-05 | რეინჯერსი (შოტლანდია) | 14 | - |
| საქართველოს ნაკრებში 29 მატჩი | | | |

**სამი დღეც და, ზურაბ ხიზანიშვილს ევროპის ჩემპიონთა შეტევებთან გამკლავება მოუწევს, მანამდე კი იმ გულშემატკივართა კითხვებს პასუხობს, რომელთაც ყურმილის აღება და ეროვნული ნაკრების ფეხბურთელისთვის კითხვის დასმა რომ არ ეთაკილებათ. ზურა გლაზგოდან თბილისში გუშინწინ ჩამოვიდა და „თქვენი ინტერვიუც" მაშინ მოკვარახჭინდა...**



*დავით ცხომელიძე*

*51 წლის, თბილისი*

— საქართველოს ეროვნულ ნაკრებში არასდროს მინახავს, რომ აუტიდან ბურთს შორ მანძილზე ისროდნენ — რატომ ხდება ჩვენთან ასე, როცა სხვა გუნდებში ერთი ფეხბურთელი მაინც ჰყავთ, აუტიდან ბურთს შორს რომ ისვრის?

— ჩვენ უბრალოდ არ გვყავს ასეთი ფეხბურთელი და ეს ტრაგედია სულაც არ არის, ეს, ფაქტობრივად, არაფერს წყვეტს.

— ნაკრების ბოლო თამაშებით ერთხელაც დავრწმუნდი, რომ ტექნიკური მცველი ხართ, მაგრამ რატომ ერიდებით შეტევაში ჩართვას?

— შეტევაში ჩართვა ძალიან მიყვარს, მაგრამ გააჩნია ტაქტიკას და მწვრთნელის დავალებას.

— მამათქვენი ცნობილი ფეხბურთელი იყო და თუ უყვარს თქვენთვის რჩევების და შენიშვნების მიცემა და საერთოდ, როგორი ურთიერთობა გაქვთ მამა-შვილს?

— მამაჩემმა ბევრი რამ მასწავლა, მაგრამ ახლა ამის დრო აღარაა. ადრე ყოველი თამაშის შემდეგ მეუბნებოდა რაღაცეებს, მეტწილად შენიშვნებს მაძლევდა და ნაკლზე მითითებდა. რაც შეეხება ჩვენს ურთიერთობას, ჩვენ უფრო მეგობრული ურთიერთობა გვაქვს, ვიდრე მამა-შვილური.

— ადრე თქვით, ფსიქოლოგი არ მჭირდებაო, მაგრამ ახლა უკვე „რეინჯერსის" ფეხბურთელი ხართ და ნაკრებშიც კარგად მოიკიდეთ ფეხი — აზრი ხომ არ შეგიცვლიათ?

— საკუთარი თავის ფსიქოლოგი თვითონ ვარ და ასეა ყველა სპორტსმენი, თუმც შესაძლოა, ფსიქოლოგი ზოგს დასჭირდეს. ზოგადად, ფსიქოლოგის ყოლა კარგია და როცა წინ მიიწევ, უფრო გჭირდება ფსიქოლოგი. მაგრამ ისიცაა, რომ შენი ცხოვრება შენზე კარგად არავინ იცის. მოკლედ, არ მიმაჩნია საჭიროდ ამ ეტაპზე ფსიქოლოგის ყოლა.

— ჯენარო გატუზო ისეთია, რომ მთელ გუნდს და გულშემატკივრებს აიყოლიებს. ვინ არის საქართველოს ნაკრებში ისეთი, ვინც თამაშის რიტმს ყველაზე კარგად გრძნობს და რიტმის რეგულირება შეუძლია?

— გატუზო ძალიან დიდ სამუშაოს ასრულებს და მისნაირი ფეხბურთელი ჩვენ არ გვყავს. როცა გიორგი ქინქლაძე იყო საუკეთესო ფორმაში, მას ყველაფერი შეეძლო. ჩვენ გვყავს რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი, მატჩის ბედის გადაწყვეტა რომ შეუძლია — კახა კალაძე, შოთა არველაძე, ალექსანდრე იაშვილი, თუმც ლიდერობისთვის და რიტმის კონტროლისთვის უფრო ცენტრალური ნახევარმცველია საჭირო — დღესდღეობით ასეთი ჩვენთან მალხაზ ასათიანია.

***ნინო ბარბაქაძე***

***22 წლის, თბილისი***

**— გავრცელდა ხმა, რომ თქვენ და მომღერალ ნინი ბადურაშვილს ერთმანეთი მოგწონთ — ეს სიმართლეა?**

— ჩვენ უბრალოდ მეგობრები ვართ. ნინო კარგი მომღერალია, მაგრამ ის უფრო კარგი პიროვნებაა, ვიდრე მომღერალი.

***ზაზა კვარუნაშვილი***

***24 წლის, აბასთუმანი***

**— ვინ იყო თქვენი კერპი ბავშვობაში?**

— მარადონა.

**— რომელი ლიგა მიგაჩნიათ მსოფლიოში საუკეთესოდ?**

— სერია A.

**— თქვენი საუკეთესო მატჩი კარიერაში...**

— როცა პირველად ვითამაშე ეროვნულ ნაკრებში. მაშინ გუნდს იოჰან ბოსკამპი წვრთნიდა და შინ საბერძნეთთან 1:2 წავაგეთ.

**— ვინ მიგაჩნიათ საქართველოში ყველა დროის საუკეთესო მცველად?**

— მურთაზ ხურცილავა და ალექსანდრე ჩივაძე, მათგან ერთს ვერ გამოვარჩევ.

**— დღესდღეობით ვინაა მსოფლიოში საუკეთესო მცველი?**

— მალდინი.

**— საბერძნეთთან უფრო გაგვიჭირდება თამაში თუ თურქეთთან?**

— ორივე ერთნაირი დონის გუნდებად მიმაჩნია. ვფიქრობ, ასეთი ტი-












პის კითხვებს წერტილი თურქეთ — საქართველოს მატჩმა დაუსვა. დღეს ფეხბურთში გადამწყვეტი ფაქტორი ბურთია, რომელიც მრგვალია და არავინ იცის, საით გაგორდება.

*კოკა მაჩიტაძე*

*22 წლის, ქუთაისი*

**— „რეინჯერსზე“ უკეთეს გუნდს იმსახურებთ — არ გაქვთ შემოთავაზებები ინგლისური კლუბებიდან?**

— ინგლისური გუნდებიდანაც მაქვს შემოთავაზებები და სხვა ქვეყნებიდანაც.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ „რეინჯერსში“, უბრალოდ, არ გაფასებენ?**

— არა, ასე რომ იყოს, „რეინჯერსში“ არ გაჩერდებოდი და კლუბიც არ გამიხანგრძლივებდა კონტრაქტს. ბოლო დროს „რეინჯერის“ ძირითადში რომ არ ვთამაშობ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ მაფასებენ.

*გიორგი გველესიანი*

*13 წლის, თბილისი*

**— გახსოვთ თქვენი პირველი გოლი?**

— მცველი ვარ და ბევრი გოლი არ გამიტანია, ყველაზე დასამახსოვრებელი გოლი კი 2000 წელს გავიტანე, როცა საქართველოს თასის ფინალში „ლოკომოტივი“ და „ტორპედო“ ხვდებოდნენ — პენალტების სერიაში გადამწყვეტი 11-მეტრიანი შევაგდე და „ლოკომოტივმა“ თასი მოიპოვა.

**— ვინ იყო თქვენი პირველი მწვრთნელი?**

— გოჩა მგელაძე „ნორჩ დინამოელში“.

*იური გელოვანი*

*70 წლის, სამტრედია*

**— როცა ლონდონის „არსენალში“ იყავით გასინჯვაზე, გავრცელდა ხმა, რომ თქვენში ძალიან დიდი თანხა მოითხოვეს და ტრანსფერი ამიტომ არ შედგა...**

— ნაწილობრივ ეს ასეც იყო, მაშინ 17 წლის ვიყავი და ჩემში იმდენი მოითხოვეს, რომ შემრცხვა კიდეც — 6-7 მილიონი გირვანქა.

**— ალენ ჟირესი საქართველოს ისტორიის წიგნებს ფრანგულად ათარგმნინებს, რათა ჩვენი ისტორია ისწავლოს — ნაკრების ფეხბურთელებმა თუ იციან საქართველოს ისტორია?**

— უცხოეთიდან ჩამოსულებს მართლაც აინტერესებთ ჩვენი ისტორია, შენ კი თუ არ იცი შენი ქვეყნის ისტორია, მაინც გგონია, რომ იცი ის. მოკლედ, არაა გამორიცხული, რომ ჟირესმა ზოგიერთ ქართველზე კარგად იცოდეს საქართველოს ისტორია. მე კი მართლა ვიცი ჩვენი ისტორია და პატივს ვცემ მას.



# ტრაპაიძე ბექჰემის და ოუენის წინააღმდეგ

## ქართული ჯოკერი აზერბაიჯანში

**აი, ამბავი:** 29 წლის ქართველი ნახევარმცველი გოჩა ტრაპაიძე აზერბაიჯანის ნაკრებში გამოიძახეს. გოჩას რამდენიმე ქართულ კლუბში, მერე უკრაინულ „ტავრიაში“ და „ვოლინშიც“ უთამაშია, აზერბაიჯანულ „კარვანში“ კი შარშანწინ გადავიდა და წინა სეზონში აზერბაიჯანის ჩემპიონატის ერთ-ერთი რჩეული ფეხბურთელის სახელიც დაიგდო. ტრაპაიძეს აზერბაიჯანული პასპორტი უკვე აღებული ჰქონია და იქაური ნაკრების თავკაცმა, 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა და ბრაზილიის უდიდესი ნაკრების კაპიტანმა კარლოს ალბერტომაც უმალ მიიწვია გუნდში.



გოჩა ტრაპაიძე

აზერბაიჯანელები 26 მარტს პოლონეთს, 30-ში კი ინგლისის ნაკრებს სტუმრობენ. კარლოს ალბერტოს კი იმედი აქვს, რომ ტრაპაიძის სახით ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე პრობლემა მოეხსნება. აქვე შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანის მთავარ გუნდში ერთ ქართველს, ბადრი კვარაცხელიას უკვე უთამაშია. ტრაპაიძის გააზერბაიჯანელებაც თითქოს ჩვეულებრივი, მაგრამ ამავე დროს დამაფიქრებელი ამბავია — ჩვენი მეზობლების ჩემპიონატში ხომ ბევრი ქართველი თამაშობს, რომლებსაც თავისი ქვეყნის ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მაისურა არ მოურგიათ.

გასულ უქმეებზე კი აზერბაიჯანის ჩემპიონატის 24-ე ტური ჩათამაშდა და ქართველებმა გოლების გემო გაიხსენეს. თბილისის „მერანისა“ და მოლდოვის „შერიფის“ ყოფილი ფორვარდი მიხეილ ხუციშვილი სულაც რისხვად მოევლინა „ბირლიგის“. ჩვენიანმა თითო გოლი შეაგდო, მისმა „კაინჯამ“ კი 6:1 წააგო მეტოქე. ქართველთაგან ერთი ბურთი ირაკლი მჭედლიშვილმაც შეაგდო, თუმცა ხუციშვილ-ბერაიას გუნდი მეათე ადგილზეა და ლიდერებს სათოფეზეც ვერ მიუხლოვდება.

ცხრილის შუაგულში მყოფმა „კარატმა“ კახა ძებისაშვილის გადამწყვეტი გოლით 3:2 მოუგო „ინტერს“. გიორგი ადამიამ მე-17 წუთზე დააწინაურა თავისი „ნეფთჩი“, თუმცა ბაქოელები მოკრძალებულ „არაზთან“ შინ ოდენ ფრეს (2:2) გამორჩნენ. ადამიას გუნდი მეორე ადგილზეა და ლიდერ „ყარაბახს“ 4 ქულით ჩამორჩება, ალექო გოგობერიშვილისა და მერაბ მოჩხაშვილის „ბაკის“ კი ამ ტურში არ უთამაშია — ბაკელები მეექვსე ადგილზე არიან და ჩემპიონობის თუ არა, სამეულში მოხვედრის კარგი შანსი აქვთ.

**ილია ნანობაშვილი**

# თვალ თვალი



*ჩვენ ვებრძვით ბოთლებს! უფრო ზუსტად, ჩვენ ვებრძვით მოედანზე გადასროლილ ბოთლებს (სხვას რას ვერჩით), ვგმობთ და ვანამუსებთ ამის ჩამდენ ვაი-გულშემატკივრებს!*

*ჩვენ მოვითხოვთ წესრიგს და ალალ ქართულ ქომაგობას...*

*ნუ დაგვავიწყდება, რომ სწორედ ამ ბოთლების გამო, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ბერძენ თანატოლებს ცარიელი ტრიბუნებით რომ უმასპინძლებს.*

*იმასაც შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრებიც პირობითი დისკვალიფიკაციით თამაშობს უახლოეს მატჩებს.*

*ნუ გავავსებთ მოედანს ბოთლებით და ნუ დავაცარიელებთ ტრიბუნებს ხალხისგან!*

# ასე მხოლოდ ნაგავი იქცევა

## სტაბსმა ბაროში გამოლანძღა

„ევერტონის“ კაპიტანმა ალან სტაბსმა „ნაგავი“ უწოდა ლივერპულელ ჩეხს, მილან ბაროშს იმ დაუნდობელი უხეშობისთვის, „ალისფერთა“ თავდამსხმელმა რომ ჩაიდინა „ლურჯებთან“ თამაშისას.

201-ე მერსისაიდული დერბი „ლივერპულმა“ გასულ კვირას კი მოიგო, რითაც ამ უკანასკნელს სწორედ „ევერტონთან“ მეოთხე ადგილისთვის ბრძოლის შანსი დაუტოვა, მაგრამ თამაშის შემდეგ სალაპარაკო სწორედ ბაროშის წიხლი და მისი გაძევება იყო.

სტაბსმა, რომელმაც თავად მიიღო ამ წიხლის ხიმწვავე ბარძაყზე, თქვა: „ის ნაგავი კაცია. საკვირველია, მაგრამ თავდამსხმელები ასე არ მოდიან-ხოლმე ბურთზე. მე რომ ასეთი რამ გამომსვლოდა, მთელს ცხოვრებას მონანიებაში გავატარებდი. მან კი ისე ჩამარტყა, რომ კარიერას მამთავრებინებდა. შეიძლება გვერდულად წახვიდე კაცი ბურთზე და ფეხი დატოვო, მაგრამ წიხლით განგებ წამოსვლა ნამეტანია“.

ბაროშის გაძევება კი, რომელსაც რა თქმა უნდა, დისკვალიფიკაციაც მოჰყვება, ახალ თავისტკივილს უჩენს „ლივერპულის“ მენეჯერ რაფა ბენიტესს, რომელსაც ტრავმირებული ჰყავს ლამის ყველა თავდამსხმელი, ახალგაზრდა ნილ მელორით დაწყებული, ფრანგი ჯიბრილ სისეთი დასრულებული.

არადა, შაბათს კიდევ ერთი გადამწყვეტი თამაშია უშუალო კონკურენტ „ბოლტონთან“.

**ირაკლი გამრეკელიძე**





ეს სწორედ ის ეპიზოდია, მილან ბაროშმა ალან სტაბსი რომააყირავა



*ჰოლანდიური „პსვ ეინდჰოვენის“ 27 წლის ნახევარმცველი მარკ ვან ბომელი მომვალი სეზონიდან კატალონიურ „ბარსელონაში“ ითამაშებსო, გვამცნობს გუშინდელი „ელ მუნდო დეპორტივო“. მათივე ცნობით, დაინტერესებულმა მხარეებმა სიტყვიერ შეთანხმებას უკვე მიაღწიეს და კონტრაქტის ოფიციალურ გაფორმებას ფეხბურთელის ხელმოწერაღა აკლია*

# ვან ბომელი ბარსელონამ არაოფიციალურა დაიბევა

ვან ბომელი „კამპ ნოუზე“ სავარაუდოდ სამი სეზონი დარჩება, თუმც რიგი მიზეზების გამო ჯერჯერობით სატრანსფერო ორომტრიალში ჩაბმას არ ჩქარობს — იგი ჰოლანდიის პირველობაზე „პსვ ეინდჰოვენის“ გაჩემპიონებისთვის იბრძვის, ხოლო ორი კვირის შემდეგ, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ფრანგულ „ლიონთან“ რთული მატჩი ელოდება.

მარკ ვან ბომელს ბარსელონელებმა თვალი ადრეც დაადგეს, მაშინ „ბარსას“ ყოფილმა თავკაცმა ლუის ვან გაალმა მოისურვა თანამემამულის შეძენა, მაგრამ პსვ-სგან სატრანსფერო ვაჭრობაზე კატეგორიული უარი მიიღო.

მისი ხელში ჩაგდება ერთი წლის შემდეგ „ბარსაში“ ახალდანიშნულმა ფრანკ რაიკარდმაც სცადა, თუმც ჰოლანდიელებმა ახლა არც მეტი, არც ნაკლები, 24 მილიონი ევრო მოითხოვეს, რაც კატალონიური კლუბის შეფებს ეძვირათ.

ბოლოს კი გეტყვით, რომ გარდა კატალონიური გრანდისა, ვან ბომელის გადაბირებით ლონდონური „არსენალი“ და „ტოტენჰემი“, მადრიდის „რეალი“, დორტმუნდის „ბორუსია“ და „შალკე“ იყვნენ დაინტერესებულნი.

**ლადო ხომერიკი**

# რა გაგვიხურე საქმე?

## მანჩესტერს ჯიბე შეუთხელდაო და გლეიზერიც ისევ გამოჩნდა

უკანასკნელი ცნობებით, „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემოსავლები 50 პროცენტით შემცირდა ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში. მთავარი მიზეზი მედია-ფასების დაცემა და ფეხბურთელებზე გაწეული ხარჯები ყოფილა.

წლეულს „მანჩესტერმა“ 27 მილიონი გირვანქა მხოლოდ უეინ რუნიში გადაიხადა და ალან სმიტი და გაბრიელ ჰაინცეც შეიძინა.

ტელერეპორტაჟების ფასების დაცემა კი ახალ სამწლიან კონტრაქტშიც აისახა, რომელიც წლეულს ამოქმედდა. ესეც არ იყოს და დიდ შეჯიბრებებში გუნდის უიღბლო გამოსვლამაც თავისი გააკეთა.



ამასობაში, კლუბმა უკვე მესამედ მიიღო ამერიკელი მილიარდერის მალკომ გლეიზერის შეთავაზება 800 მილიონგირვანქიანი ინვესტიციით, თუმც ამაზე პასუხი არ უთქვამს. „მანჩესტერმა“ თავის ფინანსურ საქმეებში მხოლოდ ჩახედვის უფლება მისცა გლეიზერს, რომელიც კლუბის რიგით მეორე მეწილეა სიდიდის მიხედვით.

ორი მთავარი მეწილე, ჯონ მანიე და ჯეი-პი მაკმანუსი კი ამბობენ, რომ კვლავაც შეეწინააღმდეგებიან გლეიზერის მიერ კლუბის ყიდვას, ამერიკელს ებრძვიან კლუბის გულშემატკივართა კომიტეტებიც.

**ირაკლი გამრეკელიძე**

# უსისხლო შარი

## გატუზომ და პანკარომ ძარღვები დამალეს

„რომა“ — „მილანის“ მატჩის შემდეგ ჯენარო გატუზომ და ჯუზეპე პანკარომ ანალიზისთვის სისხლის ჩაბარება იუარეს. ეს ორი ფეხბურთელი დოპინგ-ტესტისთვის აირჩიეს, რაც შარდისა და სისხლის შემოწმებას გულისხმობს. მილანელები მოშარდვაზე დათანხმდნენ, მაგრამ ძარღვების „გადახსნა“ არ ისურვეს.

„მილანის“ ექიმი მასიმილიანო სალა ფეხბურთელების საქციელში დანაშაულს ვერ ხედავს: „მოთამაშემ სისხლი თუ არ ჩააბარა, ეს ნიშნავს, რომ მის შარდს უფრო დაწვრილებით გამოიკვლევენ“.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის შარშანდელი გადაწყვეტილებით, ფეხბურთელს უფლება არა აქვს, უარი თქვას შარდის ანალიზზე, მაგრამ სისხლი თუ არ „მისცა“, ეს დანაშაულად არ ითვლება, თუმც ფაქტი თავისთავად ეჭვს ბადებს.

მოგეხსენებათ, იტალიის ნაკრებს შაბათს შოტლანდიასთან მატჩი ელის და მარჩელო ლიპი იმედოვნებს, რომ ეს შემთხვევა გუნდის მომზადებაზე უარყოფითად არ იმოქმედებს, ფეხბურთის ფედერაცია კი ალბათ მაინც გაარკვევს, რატომ იუარეს მილანელებმა სისხლის ჩაბარება.

ჯენარო გატუზომ ოფიციალური კომენტარი გუშინვე გააკეთა, იმ ოთახთან უამრავი ხალხი ირეოდა და მე და პიპოც (პანკარო) ამიტომაც წამოვედით. ნამდვილად არ მეგონა, ამხელა აჟიოტაჟი თუ ატყდებოდა, სისხლს რამდენიც უნდათ, იმდენს ჩავაბარებო.

ჯუზეპე პანკარო კი ჯერჯერობით დუმს.

**გაგა ხუციშვილი**



ჯენარო გატუზო დისკვალიფიკაციას ალბათ ასცდება

# ვინ დაიცავს იუვენტუსს

## ჩელსის ძამბროტა მონდომებია

მომავალ ზაფხულს ტურინის „იუვენტუსის“ დაცვის ხაზში შესაძლოა, სერიოზული ცვლილებები მოხდეს. „ბებერმა ქალბატონმა“ რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელს, მათ შორის ლიონელ მიკაელ ესიენს დაადგა თვალი. გარდა ამისა, გუნდში დაბრუნდება ჯორჯო კიელინი, რომელიც „ფიორენტინაშია“ განათხოვრებული და მშვენიერ სეზონსაც ატარებს. იმასაც ამბობენ, რომ ჯანლუკა ძამბროტა „ჩელსის“ მორიგი სამიზნეა და ყოზე მაურინიუს მისი ხელში ჩაგდება მტკიცედ გადაუწყვეტიაო. ბოლო დროს ძველებურად ათამაშებული „იუვეს“ კაპიტანი ალექს დელ პიერო კი ეროვნულ გუნდზე და მომავალზე საუბრობს.

ახლა კი უფრო დაწვრილებით:



იტალიური პრესის ცნობით, „ჩელსი“ მზად არის ჯიბეზე სერიოზულად გაიკრას ხელი და ყველანაირად სცადოს ძამბროტას გადაბირება. ამ უკანასკნელს დაახლოებით 15 მილიონ ევროდ აფასებენ და შესაძლოა, ტურინელები ძამბროტას სარფიანად გაყიდვას დასთანხმდნენ კიდეც.

ამ ვარაუდის მთავარი მიზეზი კი ის გახლავთ, რომ მომავალ ზაფხულს „იუვეში“ შესაძლოა, ერთბაშად ოთხი. ახალი მცველი გამოჩნდეს. „ფიორენტინაში“ განათხოვრებული ჯორჯო კიელინი ძალიან კარგად გამოიყურება და მისი ტურინში დაბრუნება გადაწყვეტილი ამბავია. „ბებერ ქალბატონს“ „პარმასა“ და „პალერმოს“ ახალგაზრდა მცველების — შესაბამისად, დანიელე ბონერასა და ანდრეა ბარძალის შეძენაც განუზრახავს. გარდა ამისა, „იუვეს“ სახელს კიდევ ერთხელ დაუკავშირეს „ლიონის“ პერსპექტიული ფეხბურთელი მიკაელ ესიენი.

თუმცა, ესიენში „იუვენტუსს“ სერიოზული მოცილეები ჰყავს — 22 წლის განელი მიზანში „არსენალმა“, „მანჩესტერმა“ და „ბარსელონამაც“ ამოიღეს. გავრცელებულ ჭორებს თუ ვენდობით, ყველაზე მეტი შანსი მაინც ტურინელებს აქვთ.

„ახლა წარმოდგენაც არ მაქვს, თუ რა მოხდება მომავალში, გადაწყვეტილი არაფერია. „ლიონთან“ კიდევ სამწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და აქ თავს კარგად ვგრძნობ. თუმცა, ჩემით მათ გარდა, კიდევ არაერთი გრანდია დაინტერესებული და ძნელია, ცდუნებას გაუძლო. ყველაფერი ალბათ ზაფხულში გაირკვევა“ — თქვა თავად ესიენმა.

ვიდრე ესიენის ამბავი საბოლოოდ გაირკვეოდეს, მანამდე „ბებერი ქალბატონის“ ხელმძღვანელობას ალესანდრო დელ პიეროს ბოლო დროინდელი თამაში ახარებს. კმაყოფილია თავად 30 წლის ფეხბურთელიც და მიუხედავად იმისა, რომ მარჩელო ლიპიმ ერთ შოტლანდიასთან მატჩისთვის არ გამოიძახა, ოპტიმიზმს არ კარგავს.

ალექს დელ პიერო: „თუ ასე თამაშს გავაგრძელებ, ნაკრებში კუთვნილი ადგილისთვის ნერვიულობა ნამდვილად არ მომიწევს. მართალია, ლიპიმ შოტლანდიასთან სათამაშოდ არ გამომიძახა, მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს. უბრალოდ, მწვრთნელმა ამჯერად ასე ჩათვალა საჭიროდ“.

ტურინელთა კაპიტანმა ორი სიტყვა „იუვეს“ მომავალ თამაშებზეც თქვა: „ამ კვირაში „ლივერპულთან“ უმნიშვნელოვანესი მატჩი გველის. მაგრამ ამის გამო მოდუნება ან ძალების განსაკუთრებულად დაზოგვა არ ღირს, რადგანაც ინგლისელებთან შეხვედრამდე ფლორენციაში ჩასვლა გვიწევს. „ფიორენტინასთან“ თამაში კი ყოველთვის რთულია და იოლად გამარჯვება გვჭირდება, თანაც თუ „მილანის“ შედეგებსაც გავითვალისწინებთ, არც ისინი აპირებენ შეცდომის დაშვებას“.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ნესტამ ლიპი დაადუმა

## მილანელი გუნდიდან გაუშვეს



**„მილანის“** მცველმა ალესანდრო ნესტამ „სამპდორიასთან“ მიღებული ტრავმა ჯერ კიდევ ვერ მოიშუშა. შეგახსენებთ, ნესტას ერთ-ერთი გენუელის ბუცი ისე მოხვდა ფეხში, რომ ექიმებმა მას შვიდი ნაკერი დაადეს. თავდაპირველად „ლაციოს“ ყოფილი კაპიტნის „რომასთან“ მატჩისთვის დაბრუნება იგეგმებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საქმე უფრო სერიოზულად არის, ვიდრე ჩანდა.

მარჩელო ლიპიმ ჩვეულებისამებრ ნაკრებში ნესტა შოტლანდიასთან სათამაშოდ გამოიძახა, მაგრამ ფეხბურთელმა ვარჯიშიც ვერ შეძლო, ხოლო მოგვიანებით ექიმებმა იგი მილანში დააბრუნეს, რამაც „სკუადრა აძურას“ თავკაცი ორმაგად დაამწუხრა, რადგანაც ლიპი ვერ დაიხმარს გუნდის მეორე წამყვან მცველ ჯანლუკა ძამბროტასაც — ტურინელს დისკვალიფიკაცია აქვს.

გარდა ამისა, შოტლანდიასთან საეჭვოა ვინჩენცო მონტელას თამაშიც. რომაელს უკვე ორი დღეა, არ უვარჯიშია და ექიმები ზუსტ დიაგნოზს ჯერ ვერ სვამენ. სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი „მილანთან“ მატჩში დაშავდა.

ლიპი კი ჯერჯერობით დუმს და ახალი ფეხბურთელების გამოძახებას არ აპირებს, თუმც კვირის ბოლომდე იტალიელთა თავკაცმა შესაძლოა, გადაწყვეტილება შეცვალოს.

**გიორგი ქაქაბაძე**

# გამიშვით რა...

## სანიოლს სერი ეპატიჟება

**„ბაიერნის“** გამოცდილი მცველი ვილი სანიოლი რამდენიმე ევროპული გრანდის ყურადღების ცენტრშია.

ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ 28 წლის ფრანგი მომავალ ზაფხულს მიუნხენს დატოვებს, რადგანაც მას ძალების სხვა ქვეყანაში გამოცდა უნდა, ხოლო გერმანელებთან კონტრაქტი 2006 წელს ეწურება. შესაბამისად, „ბაიერნის“ უფროსობა სანიოლის უფასოდ დაკარგვას არ ისურვებს და მას სეზონის ბოლოს გაჰყიდის.

შეგახსენებთ, რომ გასულ ზაფხულს ვილი სანიოლის შეძენა ლონდონურ „ჩელსის“ სურდა, მაგრამ ინგლისელები 25 მილიონმა ევრომ დააფრთხო. სავარაუდოდ, მიუნხენელებს ახლა ფასის საგრძნობლად დაწევა მოუწევთ.

ახლა „ჩელსი“ მაინცდამაინც აღარ აქტიურობს. სამაგიეროდ, სანიოლის შეძენას „მილანი“, „რომა“, „იუვენტუსი“ და „ვალენსია“ ცდილობენ, თუმცა ყველაზე რეალური კანდიდატი „მანჩესტერ იუნაიტედი“ ყოფილა. სერ ალექს ფერგიუსონს გამოცდილი მარჯვენა მცველი სჭირდება და მიზანში სწორედ სანიოლის ამოუღია. სავარაუდოდ, კლუბები მალე მოლაპარაკებასაც დაიწყებენ.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ლაკომბი ფრისკს შესწირეს



ბადრი ქეთილაძის ფოტო

**„სოშოს“** მწვრთნელ გი ლაკომბს ერთთვიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს.

5 მარტს, „რენთან“ მატჩში, ლაკომბი თურმე გვერდით მსაჯს ეჩხუბა და სკამზეც ამიტომ ველარ მოკალათდება და ბუნებრივია, თავისი გუნდის თამაშის ყურება ტრიბუნებიდან მოუწევს.

საფრანგეთის ფეხბურთის პროფესიული ლიგის გადაწყვეტილება უკვე ძალაშია უახლოეს ტურშივე, „კაენთან“ შეხვედრისას გი ლაკომბი მაყურებლებში გადაინაცვლებს.

მწვრთნელმა თქვა, განტევების ვაცად გამომიყვანეს და სამაგალითოდ იმიტომ დამსაჯეს, რომ სხვებმა არბიტრებზე აღარ გაიწიონო. ასეთი სიმკაცრე კი მავანთაგან დაშინებული ანდერს ფრისკის ამბავს მოჰყვა, რომელმაც მსაჯობა მიატოვაო.

გი ლაკომბი პროფლიგის განაჩენის გასაჩივრებას აპირებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# გილის ლიგური ვარიანტი

## განთესვა საჭირო არ არის



**„მანჩესტერ იუნაიტედის“** აღმასრულებელ დირექტორ დევიდ გილს სურს, რომ უეფამ მომავალი სეზონიდან ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის წილისყრისას განთესვის წესი შემოიღოს.

შეგახსენებთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ მერვედფინალში „მილანთან“ დამარცხდა, მადრიდის „რეალი“ — „იუვენტუსთან“, ხოლო „არსენალი“ — „ბაიერნთან“.

გილის აზრით: „ძალიან ცუდია კლუბებისთვის, ტელევიზიისთვის და სპონსორებისთვის, რომ ჩემპიონთა თასის ცხრაგზის მფლობელი „რეალი“, „ბარსელონა“, „მანჩესტერი“ და ინგლისის ჩემპიონი „არსენალი“ მერვედფინალიდან გავარდნენ“.

მანჩესტერელთა აღმასრულებელმა დირექტორმა განაცხადა, „მილანთან“ მატჩამდე იტალიური კლუბის ბოსებს ვესაუბრე, რომ წილისყრის სისტემა აუცილებლად შესაცვლელია-მეთქი და ისინიც დამთანხმდნენო.

მოკლედ, დევიდ გილის ახლებური ვარიანტი ასეთია — მერვედფინალში კლუბები რეიტინგის მიხედვით განთესონ და მეთექვსმეტე პირველს შეხვდეს, მეთხუთმეტე მეორეს და ასე შემდეგ.

**ვაჟა ხუციშვილი**



# შენ არა ხარ მარტო

## რომარიოს ჩვილმა ბრაზილია შეაძრწუნა

**ლეგენდარულ** „მარაკანაზე" კვირას ფრიად უცნაური ამბავი მოხდა — დაუძინებელი მტრების, „ვასკუ და გამასა" და „ფლამენგოს" გულშემატკივრებმა ჩვეული ურთიერთდაპირისპირება დაივიწყეს, ერთ მუშტად გაერთიანდნენ და... „ვასკუს" ამჟამინდელ ვარსკვლავს, ახლო წარსულში კი „ფლამენგოს მობურთალ რომარიოს გაჭირვების ჟამს გვერდში დაუდგნენ.

საქმე კი აი, რაშია — გასულ ხუთშაბათს რომარიოს მეშვიდე ქალიშვილი შეეძინა. უბედურებაც აქედან იწყება: პატარა კი, ოკეანისგაღმელ მედიკოსთა ცნობით, სავარაუდოდ დაუნის სინდრომით ყოფილა დაავადებული...

მოკლედ, ერთმანეთზე დანასისხლად გადაკიდებული ქომაგებიც სწორედ ამიტომ დამობილდნენ და რომარიოს მხარდასაჭერად ახალშობილი ივის სახელს მთელი მატჩის განმავლობაში ხმაშეწყობილად, გულის ამაჩუყებლად მღეროდნენ.

„მადლობა ყველას. ეს ამტკიცებს, რომ მათ ვეებერთელა გული აქვთ" — განაცხადა თამაშის მერე თვალცრემლიანმა რომარიომ, ვინაც მიუხედავად განსაცდელისა, მწვრთნელს მოედანზე გასვლა თხოვა და გოლიც კი შეაგდო...

გულშემატკივრებმა დიდ ფეხბურთელს ტრიბუნებზე გამოფენილი პლაკატებითაც უქომაგეს — „რომარიო, მთელი ბრაზილია შენთანაა!" განსაკუთრებით ამაღელვებელი კი გახლდათ დაუნის სინდრომით დაავადებული ორი გოგონას საქციელი — მათ ხელში რომარიოს სურათები ეჭირათ...

„ჩემი შვილი ძალიან მიყვარს და მინდა, ყველა გულშემატკივარს საოცარი მხარდაჭერისთვის კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო. ამით მეც და ივისაც ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწიეს" — დასძინა ბოლოს გულდამძიმებულმა რომარიომ.

**ლადო ხომერიკი**

# რონალდომ ქომაგებს ბოთლი ესროლა

## რატომ? რეალიდან წაეთრიეო




**რაც დრო** გადის, რონალდოსა და „რეალის" ქომაგობას შორის ურთიერთობა სულ უფრო და უფრო უარესდება.

გუშინ „რეალის" ვიცე-პრეზიდენტი ემილიო ბუტრაგენიო და ესპანელი ჟურნალისტები სწორედ „სანტიაგო ბერნაბეუზე" მომხდარი ამასწინანდელი ინციდენტის შესახებ მსაჯელობდნენ.

რაზე? „რეალი" — მალაგას" მატჩის დროს რონალდომ ავადგანწყობილ ფანს მთელი ძალით ესროლა მინერალური წყლით სავსე ბოთლი. ემილიო ბუტრაგენიომ ბრაზილიელის მხარე დაიჭირა: „როცა ვინმე თავს გესხმის, შესაბამისი რეაქციაც უნდა გქონდეს, ხოლო გაბრაზებულმა შეიძლება პასუხი კარგად ვერ მოზომო".

ცხადია, ბუტრაგენიო „თავდასხმაში" ინჩასთა რასისტულ ქცევას გულისხმობს და განმარტავს: „რონალდოს შევეკითხე, თუ რა მოხდა და მან მიპასუხა, რომ ფანები შეურაცხმყოფელ, რასისტულ სიტყვებს ეძახდნენ. რა თქმა უნდა, მომავალში ბოთლის სროლა და მსგავსი რალაცეები არ უნდა განმეორდეს, თუმც, ქომაგებმაც უნდა მოთოკონ ემოციები".

„მარკას" ცნობით, „რეალი" რონალდოს არ დააჯარიმებს, პირიქით, იმ ორ ვაი-ქომაგს, რომელთაც „მალაგასთან" მატჩისას ტრადიციული „რონალდო, წაეთრიე!" არ იკმარეს და „რონალდო, შე შავო მაიმუნო", ღრიალებდნენ, „სანტიაგო ბერნაბეუზე" მისვლა აეკრძალათ.

**ლადო ხომერიკი**

## ინგლისი

### ჩემპიონატი XXXIX ტური

**ბრაიტონი 0:1 რედინგი**

0:1 ფორსტერი (65)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 39 | 24 | 6 | 9 | 64:34 | 78 |
| უიგანი | 39 | 22 | 10 | 7 | 70:30 | 76 |
| იფსვიჩი | 39 | 21 | 10 | 8 | 69:44 | 73 |
| პრესტონი | 39 | 18 | 10 | 11 | 55:50 | 64 |
| დერბი | 38 | 17 | 10 | 11 | 56:47 | 61 |
| რედინგი | 39 | 16 | 12 | 11 | 44:35 | 60 |
| შეფილდი | 38 | 16 | 10 | 12 | 47:47 | 58 |
| ვესტ ჰემი | 38 | 16 | 8 | 14 | 53:49 | 56 |
| ქუინზ პარკი | 38 | 16 | 8 | 14 | 47:46 | 56 |
| მილუოლი | 39 | 15 | 10 | 14 | 41:35 | 55 |
| სტოკი | 38 | 15 | 10 | 13 | 29:27 | 55 |
| ლიდსი | 39 | 13 | 14 | 12 | 44:42 | 53 |
| ვულვზი | 39 | 11 | 18 | 10 | 58:52 | 51 |
| ბარნსლი | 38 | 12 | 13 | 13 | 30:34 | 49 |
| უოტფორდი | 39 | 10 | 15 | 14 | 47:51 | 45 |
| ქრიუ | 39 | 11 | 12 | 16 | 57:70 | 45 |
| ლესტერი | 37 | 9 | 17 | 11 | 39:38 | 44 |
| პლიმუთი | 39 | 12 | 8 | 19 | 46:58 | 44 |
| ბრაიტონი | 39 | 12 | 8 | 19 | 33:55 | 44 |
| კარდიფი | 38 | 10 | 12 | 16 | 39:42 | 42 |
| ჯილინგემი | 39 | 11 | 9 | 19 | 38:58 | 42 |
| ქოვენთრი | 39 | 10 | 11 | 18 | 47:62 | 41 |
| ნოტინგემი | 38 | 8 | 14 | 16 | 36:54 | 38 |
| როტერჰემი | 39 | 4 | 13 | 22 | 29:58 | 25 |

## საფრანგეთი

### II დივიზიონი. XXX ტური

**ტრუა 2:0 რეიმსი**

1:0 გომი (9), 2:0 პერონე (84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანსი | 30 | 16 | 6 | 8 | 43:29 | 54 |
| ლე მანი | 30 | 16 | 5 | 9 | 37:24 | 53 |
| ტრუა | 29 | 15 | 6 | 8 | 48:37 | 51 |
| სედანი | 30 | 13 | 8 | 9 | 30:28 | 47 |
| შატორუ | 30 | 10 | 15 | 5 | 39:30 | 45 |
| ბრესტი | 30 | 11 | 12 | 7 | 30:27 | 45 |
| ლავალი | 30 | 13 | 6 | 11 | 35:33 | 45 |
| დიჟონი | 30 | 10 | 12 | 8 | 32:27 | 42 |
| გრენობლი | 30 | 11 | 9 | 10 | 37:36 | 42 |
| გენიონი | 30 | 10 | 12 | 8 | 25:26 | 42 |
| მონპელიე | 29 | 11 | 8 | 10 | 28:26 | 41 |
| გენგამი | 30 | 11 | 7 | 12 | 39:37 | 40 |
| ამიენი | 30 | 9 | 10 | 11 | 30:32 | 37 |
| ლორიანი | 30 | 10 | 7 | 13 | 35:39 | 37 |
| რეიმსი | 30 | 8 | 11 | 11 | 26:40 | 35 |
| ანჟე | 30 | 7 | 12 | 11 | 29:35 | 33 |
| ლე ავრი | 30 | 8 | 7 | 15 | 19:31 | 31 |
| კლერმონი | 29 | 6 | 12 | 11 | 27:29 | 30 |
| კრეტეი | 29 | 6 | 10 | 13 | 25:30 | 28 |
| ნიორი | 30 | 6 | 7 | 17 | 24:42 | 25 |

## პორტუგალია

### სუპერლიგა. XXVI ტური

**სპორტინგი 2:0 პორტუ**

1:0 ლიედსონი (62), 2:0 კარლოშ მარტინში (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 26 | 15 | 6 | 5 | 41:23 | 51 |
| სპორტინგი | 26 | 13 | 6 | 7 | 52:30 | 45 |
| ბრაგა | 26 | 12 | 9 | 5 | 37:20 | 45 |
| პორტუ | 26 | 12 | 9 | 5 | 30:22 | 45 |
| ბოავიშტა | 26 | 12 | 9 | 5 | 35:31 | 45 |
| გიმარაეში | 26 | 11 | 7 | 8 | 30:24 | 40 |
| რიუ ავე | 26 | 8 | 14 | 4 | 31:30 | 38 |
| მარიტიმუ | 26 | 8 | 12 | 6 | 28:24 | 36 |
| ბელენენსეში | 26 | 10 | 5 | 11 | 35:30 | 35 |
| ნასიონალი | 26 | 10 | 4 | 12 | 35:35 | 34 |
| ლეირია | 26 | 7 | 12 | 7 | 26:25 | 33 |
| სეტუბალი | 26 | 8 | 8 | 10 | 35:37 | 32 |
| პენაფიელი | 26 | 8 | 4 | 14 | 27:42 | 28 |
| ჟილ ვისენტე | 26 | 7 | 5 | 14 | 27:35 | 26 |
| ეშტორილი | 26 | 7 | 5 | 14 | 32:43 | 26 |
| აკადემიკა | 26 | 6 | 7 | 13 | 22:35 | 25 |
| მორეირენსე | 26 | 5 | 10 | 11 | 21:35 | 25 |
| ბეირა მარი | 26 | 5 | 8 | 13 | 25:48 | 23 |

## გერმანია

### II ბუნდესლიგა. XXVI ტური

**აინტრახტი 1:0 ფიურტი**

1:0 ვაისენბერგერი (32)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუისბურგი | 26 | 16 | 4 | 6 | 40:24 | 52 |
| კიოლნი | 26 | 15 | 6 | 5 | 50:27 | 51 |
| მიუნხენი | 26 | 12 | 8 | 6 | 38:32 | 44 |
| აინტრახტი | 26 | 13 | 4 | 9 | 44:35 | 43 |
| ფიურტი | 25 | 13 | 4 | 8 | 38:30 | 43 |
| ალემანია | 26 | 12 | 4 | 10 | 46:32 | 40 |
| აუე | 26 | 12 | 4 | 10 | 40:29 | 40 |
| ბურგჰაუზენი | 25 | 10 | 6 | 9 | 34:40 | 36 |
| დინამო | 26 | 10 | 4 | 12 | 36:42 | 34 |
| ტრირი | 26 | 7 | 11 | 8 | 32:39 | 32 |
| ზაარბრიუკენი | 26 | 9 | 4 | 13 | 37:39 | 31 |
| კოტბუსი | 26 | 8 | 7 | 11 | 27:32 | 31 |
| უნტერჰახინგი | 25 | 9 | 3 | 13 | 33:36 | 30 |
| ალენი | 26 | 7 | 7 | 12 | 26:32 | 28 |
| კარლსრუე | 25 | 6 | 9 | 10 | 32:40 | 27 |
| ესენი | 26 | 5 | 12 | 9 | 30:40 | 27 |
| ერფურტი | 25 | 6 | 8 | 11 | 27:38 | 26 |
| ობერჰაუზენი | 25 | 6 | 5 | 14 | 28:51 | 23 |




**ჩრდილოირლანდიელი** მეკარე როი კეროლი სეზონის ბოლოს „მანჩესტერ იუნაიტედს" დატოვებს. 27 წლის ფეხბურთელი კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივებას არ აპირებს და ზაფხულში თავისუფალი აგენტი გახდება. „როიმ თავისი გადაწყვეტილების შესახებ მარტის დასაწყისში გვამცნო. ჩვენ მისი გადარწმუნება არ გვიცდია და უკვე ახალ მეკარეს ვეძებთ" — თქვა „მანჩესტერის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ დევიდ გილმა.

**იტალიური** „ატალანტას" ფორვარდი სტეფან მაკინვა შესაძლოა, გენუის „სამპდორიაში" გადაბარგდეს. „დიდი შანსია, ეს ტრანსფერი მართლაც შედგეს. მე უკვე დამიკავშირდნენ, მაგრამ ახლა მხოლოდ „ატალანტაზე" ვფიქრობ" — განაცხადა 21 წლის ნიგერიელმა. აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს ჩინებულად მოთამაშე მაკინვა სანახევროდ „სამპდორიას" თანაქალაქელ „ჯენოას" საკუთრებაა.

**ინგლისურ** „ტოტენჰემს" ჩეხი პლეიმეიკერის, ტომაშ როსიცკის შეძენა უნდა. ეს ინფორმაცია დორტმუნდის „ბორუსიას" სპორტულმა დირექტორმა მიხაელ ცორკმაც დაადასტურა. მოგეხსენებათ, გერმანული კლუბი სერიოზულ ფინანსურ კრიზისშია და მზადაა, თავის ლიდერებს შეელიოს. ლონდონელები კი კვალიფიციურ გამთამაშებელს ეძებენ დ მიზანშიც სწორედ 24 წლის როსიცკი ამოიღეს.

**რუმინეთის** ნაკრებისა და „რომას" მცველმა კრისტიან კივუმ აღნიშნა, რომ „სტადიო ოლიმპიკოზე" დარჩენას გეგმავს. შეგახსენებთ, რომ მის სახელს დიდი ხანია, „ინტერსა" და „იუვენტუსს" უკავშირებენ. „თავს ისე ვგრძნობ, თითქოს მთელი ცხოვრება „რომაში" გამეტარებინოს. ამიტომ, წასვლაზე საერთოდ არ ვფიქრობ. თანაც სხვა კლუბებისგან სერიოზული წინადადებაც არ მიმიღია" — თქვა კივუმ.

**გერმანულმა** „ლევერკუზენმა" თავის ბრაზილიელ მცველ როკე ჟუნიორთან 2007 წლამდე გააზანგრძლივა კონტრაქტი. „ფარმაცევტის" თავკაცი კლაუს აუგენტალერი 28 წლის ფეხბურთელის თამაშით ძალიან კმაყოფილია და გუნდის უფროსობას მისი შენარჩუნება სთხოვა.

**იტალიელ** ფორვარდ მარკო დი ვაიოს „ვალენსიაში" დარჩენა სურს. „ტყუილია, თითქოს გუნდის გამოცვლა მინდა და სამშობლოში დაბრუნებას ვაპირებდე. პირიქით, აქაურობა ძალიან მომწონს და გადავწყვიტე, დავრჩე კიდეც. სტეფანო ფიორე, ემილიანო მორეტი და ბერნარდო კორადი კი მართლაც ფიქრობენ წასვლაზე, რადგანაც ისინი ძირითად შემადგენლობაში სისტემატურად ვერ ხვდებიან" — განაცხადა „იუვენტუსის" ყოფილმა თავდამსხმელმა.

**ინგლისურ** „ლივერპულში" ტრავმებსა და თავდასხმაში პრობლემებს ბოლო არ უჩანს. მერსისაიდელებს მომავალ უქმებზე „ბოლტონთან" მატჩში შესაძლოა, არც ერთი ფორვარდი არ ჰყავდეთ. მოგეხსენებათ, ჯიბრილ სისე და ნილ მელორი მიმდინარე სეზონში ველარ ითამაშებენ. ჩეხმა მილან ბაროშმა სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო, ხოლო ესპანელ ფერნანდო მორიენტესს კი საზარდულის კუნთი დაეჭიმა. „ლივერპულის" მწრთნელის რაფაელ ბენიტესის თქმით, მას შეტევაში ნახევარმცველების — ლუის გარსიასა და ჰარი კიუელის გამწესება მოუწევს.

**ბრაზილიელი** ნახევარმცველი სეზარი „ლაციოსთან" კონტრაქტს გააზანგრძლივებს. „სეზარი რომში ბედნიერია და „ლაციოს" მაისურას სიამაყით ატარებს. მართალია, ბოლო დროს შედარებით პასიურად თამაშობს, მაგრამ ამის მიზეზი ტრავმებია და არა სხვა გუნდში გადასვლის სურვილი" — თქვა ფეხბურთელის წარმომადგენელმა ჟილმარმა. შეგახსენებთ, რომ სამხრეთამერიკელს დიდი ხანია, „ინტერი", „მილანი" და „იუვენტუსი" უტრიალებენ.

**ჰოლანდიელ** ფორვარდ პატრიკ კლუივერტის თქმით, მას ეროვნული გუნდი ნაკლებად აღელვებს. „მე ახლა მხოლოდ „ნიუკასლში" თამაშზე ვფიქრობ და კლუბში დარჩენა ძალიან მინდა. ის, რომ მარკო ვან ბასტენი ნაკრებში არ მიძახებს, უკვე დიდად არც მაინტერესებს. სიმართლე გითხრათ, რომც გამომიძახონ, შეიძლება უარიც კი შევუთვალო" — აღნიშნა კლუივერტმა.

**უნგრეთის** ნაკრების თავკაცმა ლოთარ მათეუსმა შესაძლოა, მალე ორმაგი მოქალაქეობა მიიღოს. „უნგრეთის მოქალაქეობის მიღება შემომთავაზეს, რაც ჩემთვის დიდი პატივია და ვფიქრობ, ამ წინადადებას მივიღებ. მე აღფრთოვანებული ვარ ამ ჩინებული ქვეყნით" — გულწრფელად აღიარა გერმანელმა.

**ინგლისის** ნაკრების ყოფილმა მცველმა დინ რიჩარდსმა კარიერა დაასრულა. ბოლო წლებში იგი „ტოტენჰემში" ირიცხებოდა, მაგრამ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემების გამო მას წელიწადზე მეტია, არ უთამაშია. ამის გამო 30 წლის რიჩარდსმა საბოლოოდ გადაწყვიტა ფეხბურთიდან წასვლა.

**იტალიური** „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ განაცხადა, რომ კლუბი „შტუტგარტის" ბელარუსი ნახევარმცველის, ალექსანდრ გლების სავარაუდო შეძენის საკითხს არც განიხილავს, მეტიც, მისივე თქმით „მილანის" წარმომადგენელს „შტუტგარტის" შეფობასთან არც ულაპარაკია. „ვაღიარებ, ალექსანდრ გლები მართლაც კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ჩვენ მისი ამპლუის მოთამაშე ახლა ნამდვილად არ გვჭირდება. „მილანს" ჰყავს ფენომენალური კაკა და პორტუგალიელი მანუელ რუი კოშტა. ვფიქრობ, ამით ყველაფერია ნათქვამი" — განმარტა გალიანიმ.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ


### სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

**ინგლისი. I ლიგა**

**24 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 3 | დონკასტერი-ბრედფორდი | 2.1 | 3.3 | 3.1 | 1.28 | 1.25 | 1.59 |

**25 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:45 | 4 | ლუტონი-ბარნსლი | 1.5 | 3.6 | 6.0 | 1.05 | 1.2 | 2.25 |
| 18:00 | 5 | პიტერბრო-კოლჩესტერი | 2.55 | 3.3 | 2.45 | 1.43 | 1.24 | 1.4 |
| 18:00 | 7 | დონსი-სუინდონი | 2.5 | 3.2 | 2.55 | 1.4 | 1.26 | 1.41 |
| 22:45 | 8 | ჰარტლპული-ჰადერსფილდი | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |

**ინგლისი. II ლიგა**

**25 მარტი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 24 | საუთენდი-როჩდეილი | 1.7 | 3.4 | 4.35 | 1.13 | 1.22 | 1.9 |
